საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

11/07/2024

1/282

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 2 მარტის №1/89 ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგია“, თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი) დაევალოს ბრძანების ვებგვერდზე (info.police.ge) ოფიციალური წესით გამოქვეყნება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებული პირისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური

შინაგან საქმეთა სამინისტრო

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგია

2024 წელი

სარჩევი

შესავალი 2

ზოგადი მიმოხილვა 3

1. არსებული სიტუაციის ანალიზი 7

1.1 სოპ-ის დანერგვის წინაპირობები სამინისტროს სისტემაში 7

1.2 მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შექმნა და სამართლებრივი რეგულირების ფარგლები 8

1.3 საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის განხორციელების პროგრესის მიმოხილვა 10

2. სოპ-ის შემდგომი განვითარება 13

2. 1 სტრატეგიის პრინციპები 13

2. 2 სტრატეგიის მიზანი 13

2. 3 სტრატეგიის ამოცანები 14

3. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 18

შესავალი

მსოფლიოში დანაშაულის სახეებისა და მასშტაბების ზრდის ფონზე, იზრდება საზოგადოების ინტერესი მოქალაქეზე მორგებული თანამედროვე და პროაქტიული საპოლიციო სერვისების მიღებისადმი. აღნიშნული მეტ მნიშვნელობას სძენს როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე დანაშაულის პრევენციის ქმედითი პოლიტიკის არსებობასა და საპოლიციო ფუნქციების ახლებურად გააზრებას.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების სტრატეგია 2024-2027 (შემდგომ - სტრატეგია) შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მე-16 მიზანთან (მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები), რომელიც, მათ შორის, მოიცავს ძალადობრივი დანაშაულების პრევენციასა და ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნას.[1]

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის (შემდგომში - სოპ) დანერგვა, ემსახურება დანაშაულის პრევენციის კომპონენტის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულებების ნაწილს და ასახულია, მათ შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, კარი III, მუხლი 17)[2]; ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2021-2027 წწ. დღის წესრიგში (3.10.3. მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება. 3.4 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა); ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) სამოქმედო გეგმაში; სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში (VLAP)[3].

სოპ-ის მიდგომების საპოლიციო სისტემაში დანერგვა, ასევე, წარმოადგენს „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიისა“[4] და სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“[5] ნაწილს, რომელთა მიხედვით, უნდა გაგრძელდეს საუბნო მიმართულების გარდაქმნა და მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვა, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს დანაშაულის პრევენციის კომპონენტს.

---

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, 2015 წლის 25 სექტემბერი, რეზოლუცია: A/RES/70/1 „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“;

[2] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წლის 27 ივნისი;

[3] REPORT FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL SIXTH REPORT UNDER THE VISA SUSPENSION MECHANISM, Brussels, 18.10.2023;

[4] „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ნოემბრის №517 დადგენილება;

[5] სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020 – 2023 წლების სტრატეგიისა[6] და შესაბამისი სამოქმედო გეგმის[7] მეშვეობით, რეფორმის საწყის ეტაპზე, საკმაოდ მოცულობითი სამუშაოები შესრულდა, თუმცა, რამდენადაც გრძელდება სოპ-ის მიდგომების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში დანერგვისა და მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტით საქართველოს დიდი ქალაქების დაფარვის პროცესი, გაჩნდა განახლებული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობა. სწორედ ამ მიზნით, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების სამუშაო ჯგუფის[8] მიერ შემუშავდა წინამდებარე სტრატეგია.

ზოგადი მიმოხილვა

დღეისთვის, სადავო არ არის ის ფაქტი, რომ სამართალდამცავი სისტემები, რომლებიც, ძირითადად, ტრადიციულ საპოლიციო მიდგომებს ეყრდნობიან, დანაშაულისადმი რეაქტიული დამოკიდებულებით ხასიათდებიან და დანაშაულის ეფექტიანი პრევენციის განხორციელების ნაწილში ნაკლები შედეგიანობით გამოირჩევიან.[9] დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია და პოლიციის პროაქტიული მიდგომების გამოყენება კი, ზრდის პოლიციისადმი საზოგადოების მიმართვიანობას, ამცირებს დანაშაულების რაოდენობას, გარდა ამისა, ზრდის დანაშაულის გახსნის მაჩვენებელს, ხელს უწყობს პოლიციისადმი ნდობის განმტკიცებასა და უსაფრთხო გარემოს ფორმირების პროცესს, რაც, თავის მხრივ, სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს. სწორედ ხსენებული სარგებლის მიღწევას ისახავს მიზნად სოპ-ის კონცეფცია, რომლის მიდგომები, უკვე წლებია, დანერგილია არაერთი წარმატებული ქვეყნის საპოლიციო სტრუქტურებში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში[10], გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირის ქვეყნებში[11].

---

[6] „საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 04 ნოემბრის №1/422 ბრძანება;

[7] „საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 04 ნოემბრის №1/423 ბრძანება;

[8] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 2 მარტის №1/89 ბრძანება;

[9] William H. Sousa, City Journal, There Is No Substitute for Proactive Policing, July 30 2020;

[10] Community policing defined. Virginia Center For Policing Innovation (VCPI). P. 2; Proactive Policing: Effects on Crime and Communities (2018), A Consensus Study Report of The National Academies of Sciences, Engineering and Medicine, National Academies Press. P. 74; J. Conquilhat. Community Policing: An International Literature Review. New Zealand Police. Wellington, New Zealand. September 2008. P. 17; William M. Rohe. Richard E. Adams. Thomas A. Arcury. Community Oriented Policing What It Is – Why It Works – How to Get Started. Center for Urban and Regional Studies. The University of North Carolina at Capel Hill. January 1997. P 9;

[11] Claudia Dehbi. Community Oriented Policing in the European Union Today. European Crime Prevention Network (EUCPN) Secretariat and European Union for Law Enforcement Training (CEPOL). Brussels. March 2019.

სოპ-ი წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის ისეთ პროაქტიულ მიდგომას, როდესაც სამართალდამცავი უწყება საზოგადოებასთან მჭიდრო და პარტნიორობაზე დამყარებული ურთიერთობების გზით ცდილობს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებასა და პრობლემის აღმოფხვრას[12]. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის დროს მოქალაქეებთან მჭიდრო კომუნიკაცია და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა არის ის არსებითი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად აძლიერებს პოლიციასა და საზოგადოებას შორის ნდობას და ამაღლებს საზოგადოების კმაყოფილების დონეს საპოლიციო სერვისებისადმი. თავის მხრივ, ნდობაზე დამყარებული, პარტნიორული ურთიერთობები საზოგადოებასთან, სამართალდამცავ უწყებებს ეხმარება, რომ ოპტიმალური ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებით განახორციელონ დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია.

სოპ-ის მიდგომების დანერგვა ხელს უწყობს აგრეთვე ისეთი დანაშაულების გამოვლენასა და პრევენციას, რომლებიც საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებების გამო, შესაძლოა, ლატენტურობით ხასიათდებოდნენ (მაგალითად: ოჯახში ძალადობა/ქალთა მიმართ ძალადობა) და პოლიციას უჭირდეს დამოუკიდებლად ამ დანაშაულების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და პრევენცია.

სოპ-ის კონცეფციის საპოლიციო სისტემაში დანერგვა ასევე გულისხმობს პოლიციის როლის იმგვარ გააზრებას, რომ პოლიცია პატივს სცემს საზოგადოების ყველა წევრს და რეაგირებს იმ დანაშაულებზე, რომლებსაც მოქალაქეები ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.[13] სოპ-ის ერთმნიშვნელოვანი განმარტება შესაბამის ლიტერატურაში არ არსებობს, თუმცა, ხშირად აღწერენ, როგორც პოზიტიურ ურთიერთობას პოლიციასა და საზოგადოებას შორის[14] და გამოყოფენ შემდეგ ძირითად მახასიათებლებს, რასაც სოპ-ის კონცეფცია მოიცავს. ესენია:

- ¶ ერთიანი პასუხისმგებლობა - საზოგადოების მეტი ჩართულობა;
- ¶ დანაშაულის პრევენცია და პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომა;
- ¶ პოლიციელთა დისკრეციული უფლებამოსილება სხვადასხვა პრობლემის მოგვარების კუთხით.

აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გამოცემულ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ სოპ-ი არის აქტიური დემოკრატიის პროცესი, რომელიც მოითხოვს ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო და ბიზნეს ლიდერების, საზოგადოებისა და კერძო სექტორის, ეკლესიების, სკოლების და საავადმყოფოების სრულმასშტაბიან ჩართულობას, ანუ ყველა იმ სუბიექტის ჩართულობას, ვინც იზიარებს საერთო მეზობლური

P. 12; COMMUNITY POLICING IN ENGLAND, WALES, AND EUROPEAN UNION: PAST, PRESENT AND FUTURE; Erkan PALA, Ercan BALCIOĞLU, Ankara Journal of European Studies. P. 175;

[12] US Department of Justice. Bureau of Justice Assistance. Understanding Community Policing. A Framework for Action. MONOGRAPH. 633 Indiana Avenue NW. Washington DC 20531. August 1994. P. 13.

[13] William M. Rohe. Richard E. Adams. Thomas A. Arcury. Community Oriented Policing What It Is – Why It Works – How to Get Started. Center for Urban and Regional Studies. The University of North Carolina at Capel Hill. January 1997. P 8;

[14] J. Conquilhat. Community Policing: An International Literature Review. New Zealand Police. Wellington, New Zealand. September 2008. P. 18.

კეთილდღეობის შესახებ თვალსაზრისს, შესაბამისად, იაზრებს ვალდებულებას თავადაც უზრუნველყოს აღნიშნული კეთილდღეობის დაცვა.[15]

აღნიშნული თვალსაზრისია განვითარებული ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში გამოცემულ სახელმძღვანელოშიც, სადაც სოპ-ი განმარტებულია, როგორც საპოლიციო მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის განმტკიცებას და კომუნიკაციის გაზრდას.[16]

1987 წელს, ჰერმან გოლდსტეინმა, რომელიც სოპ-ის და პრობლემაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება, ხაზი გაუსვა ოთხ აუცილებელ პირობას, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, რომ სოპ-ი სწორად წარიმართოს. ესენია[17]:

1. საზოგადოების ჩართულობა საპოლიციო საქმიანობის პროცესში;
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩამოყალიბების მიზნით, პოლიციის ოფიცრების ხანგრძლივი გამწესება სამოქმედო უბნებში;
3. პოლიციის მიერ, საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე, პრიორიტეტების განსაზღვრა;
4. აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილება პოლიციის მიერ შესაბამისი რესურსების გამოყოფის საშუალებით.

სოპ-ის მიდგომების სამართალდამცავ სისტემაში დანერგვა მართალია, არ წარმოადგენს პასუხს ყველა იმ პრობლემაზე, რომლის წინაშეც თანამედროვე საპოლიციო სისტემები დღეს დგანან, თუმცა იგი მიიჩნევა ორგანიზაციული სტრატეგიების ხედვად, რომელიც ხელს უწყობს პარტნიორობაზე და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სისტემური ტექნიკების გამოყენებას, იმისათვის, რომ პროაქტიულად გადამისამართდეს პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების უსაფრთხოებას, იწვევენ სოციალურ უწესრიგობას, დანაშაულს და დანაშაულის მიმართ შიშს განაპირობებენ.[18] უნდა ითქვას ისიც, რომ სოპ-ი, როგორც საპოლიციო საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი მეთოდი, არ უპირისპირდება სამართალდაცვით ან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ტრადიციულ საქმიანობას, პირიქით, სოპ-ის კონცეფცია აძლიერებს პრევენციული საპოლიციო საქმიანობის კომპონენტს, აგრეთვე ხელს უწყობს პარტნიორობაზე და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სისტემური ტექნიკების გამოყენებას.[19]

---

[15] US Department of Justice. Bureau of Justice Assistance. Understanding Community Policing. A Framework for Action. MONOGRAPH. 633 Indiana Avenue NW. Washington DC 20531. August 1994. P. 4.;

[16] ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) გზამკვლევი, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა, ეუთოს (OSCE) სამდივნო ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტი სტრატეგიულ საპოლიციო საკითხთა განყოფილება, ვენა, ავსტრია, გვ. 19;

[17] C. Dehbi. Community Oriented Policing in the European Union Today. European Crime Prevention Network Secretariat (EUCPN) and European Union for Law Enforcement Training (CEPOL). Brussels. March 2019. P. 21.

[18] U.S Department of Justice, Department of Community Oriented Policing Services, Advancing Community Policing Through Community Governance: A Framework Document. D. Diamond, Deirdre M. Weiss. Washington D.C 20530. May 2009. Page 5.;

[19] J. Conquilhat. Community Policing: An International Literature Review. New Zealand Police. Wellington, New Zealand. September 2008. P. 17-18.

სოპ-ის განხორციელების შედეგად, გაიზრდება საზოგადოების ნდობა პოლიციის მიმართ, შესაბამისად გაიზრდება პოლიციისადმი მიმართვიანობა, შემცირდება გაუხსნელი დანაშაულების რაოდენობა და საზოგადოებისთვის უზრუნველყოფილი იქნება უფრო უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო. ამავე დროს, სამართალდამცავი სისტემის სრულფასოვანი რეფორმირების ნაწილში, შესრულდება ის საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც პოლიციის პრევენციული საქმიანობის განვითარებას ეხება.

სოპ-ის მიდგომების სრულფასოვნად დანერგვა სარგებლის მომტანი იქნება როგორც სამართალდამცავი უწყებისთვის, ისე საზოგადოებისთვის. ამავე მოსაზრებას ავითარებს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ერთ-ერთ სახელმძღვანელოში: „როდესაც სოპ-ი სწორად ხორციელდება, ამ დროს სარგებელს ნახულობს როგორც საზოგადოება, ისე პოლიცია და სხვა ინსტიტუტები“.[20]

სამართალდამცავ სისტემაში სოპ-ის წარმატებულად დანერგვის დროს, პოლიციას მეტ ინფორმაციასთან ერთად, უფრო მეტი მორალური მხარდაჭერა აქვს საზოგადოებისგან, მათ შორის მკაცრი საპოლიციო ღონისძიებების გატარების დროსაც კი, რადგან ამ დროს მოქალაქეები უკეთ ინფორმირებულები არიან, თუ რატომ ტარდება ესა თუ ის საპოლიციო ღონისძიება და პატივს სცემენ სამართალდამცველთა გადაწყვეტილებებს. საბოლოოდ, ეს მხარდაჭერა პოლიციას შეიძლება დაეხმაროს ისეთ სერიოზულ დანაშაულებთან ბრძოლაშიც, როგორიც არის, მაგალითად, ორგანიზებული დანაშაული.

პოლიციის ოფიცრები, რომლებიც პოზიტიურად ურთიერთობენ საზოგადოებასთან, თავიანთი საქმიანობისადმი უფრო მაღალი კმაყოფილების ხარისხი გააჩნიათ. ამასთან, საზოგადოების უკეთ გაცნობა და დაახლოება პოლიციელებს ეხმარებათ რეალური საფრთხის შეფასებაში, რაც ზრდის მათი თავდაჯერებულობის ხარისხსა და პერსონალურ დამოკიდებულებას უსაფრთხოების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მჭიდრო პერსონალური ურთიერთობები უბიძგებს კანონმორჩილ მოქალაქეებს, რომ ღია მხარდაჭერა გამოუცხადონ პოლიციის ოფიცრებს.

სოპ-ის დანერგვით, ძლიერდება დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული საპოლიციო საქმიანობა, რაც ავითარებს არა მხოლოდ საუბნო საპოლიციო მიმართულებას, არამედ ასევე არსებითად მნიშვნელოვანია როგორც საგამოძიებო, ისე საპოლიციო საქმიანობის სხვა მიმართულებების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

ამდენად, ზემოაღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით, სოპ-ის სარგებელთან მიმართებით, შესაძლებელია, გამოიყოს შემდეგი ძირითადი ასპექტები. ესენია:

- პოლიციისადმი მიმართვიანობის ზრდა;
- დანაშაულზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;
- საზოგადოების პოლიციისადმი ნდობის ზრდა;
- საზოგადოების ჩართულობის ზრდა;
- უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება;

[20] Good Practices in Building Police-Public Partnerships. By the Senior Police Adviser to the OSCE Secretary General. Vienna, Austria. May 2008. P. 33.

- შემცირებული დანაშაული;
- დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის ზრდა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

1. არსებული სიტუაციის ანალიზი

1.1 სოპ-ის დანერგვის წინაპირობები სამინისტროს სისტემაში

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად, პოლიციის მხოლოდ რეაქტიული მიდგომები სრულად ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. სახელმწიფო ისეთი სამართალდამცავი სისტემის შექმნას საჭიროებს, რომელიც დანაშაულზე რეაგირებასთან ერთად, მიმართული იქნება საზოგადოებასთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებაზე, საზოგადოებაში არსებული პრობლემების ერთობლივი გამოვლენისა და გადაჭრის გზების ძიებაზე. აღნიშნულ გამოწვევასთან გასამკლავებლად, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შესწავლილი პრაქტიკისა და გამოცდილების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ პოლიციელთა და მოქალაქეთა უშუალო სიახლოვით და ნდობაზე დამყარებული პარტნიორული ურთიერთობის გზით, შესაძლებელია ისეთი პრობლემების იდენტიფიცირება და პრევენცია, რომელთა გამოვლენა და აღმოფხვრა ტრადიციული (რეაგირებაზე ორიენტირებული) საპოლიციო მიდგომების მეშვეობით გაცილებით რთულია და მეტ ადამიანურ თუ ფინანსურ რესურსს მოითხოვს.

დანაშაულის პრევენციის თანამედროვე/ინოვაციური მიდგომების დანერგვისა და არსებული საპოლიციო საქმიანობის ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოების მიზნით, ბოლო პერიოდში, სამინისტროს სისტემაში, რეფორმები უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება.

პოლიციის პრევენციული საქმიანობის მიმართულება მნიშვნელოვნად განვითარდა, მას შემდეგ, რაც 2013 წელს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში[21], კანონმდებელმა პირველად დააზუსტა პოლიციის ხელთ არსებული იმ პრევენციული მექანიზმების სრული ჩამონათვალი, რომელთა გამოყენების მიზანი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფაა. ახალმა საკანონმდებლო მოწესრიგებამ პოლიციას მისცა შესაძლებლობა, კიდევ უფრო გაეფართოებინა მოქალაქეებთან კონტაქტის არეალი.

სამინისტროს რეფორმირების პროცესის ნაწილს წარმოადგენს კრიმინალური პოლიციის რეფორმა, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციული და შინაარსობრივი სტრუქტურა. სპეციალიზაციათა გაძლიერებისა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საპოლიციო სისტემაში დაიწყო ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებების მკაფიო გამიჯვნა. 2023 წლის 1 იანვრიდან, რეფორმის ფარგლებში, სამინისტროში ოპერატიული და საგამოძიებო ფუნქციები სრულად გაიმიჯნა. ამავე რეფორმის ფარგლებში, საუბნო მიმართულებით დაინერგა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომელიც დაეფუძნა სოპ-ის კონცეფციას.

[21] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

1.2 მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შექმნა და სამართლებრივი რეგულირების ფარგლები

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი[22] პოლიციის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად განიხილავს დანაშაულისა და სამართალდარღვევების პრევენციას. სწორედ პოლიციის ზემოაღნიშნული მიმართულების გაძლიერების მიზნით, სამინისტროში 2017 წლიდან დაიწყო სოპ-ის დანერგვა[23]. 2018 წელს, ქ. თბილისის მასშტაბით, დაიწყო მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის, როგორც სოპ-ის მიდგომებზე დაფუძნებული მიმართულების, შექმნისა და დანერგვის პროცესი[24]. კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, 2019 წლის პირველ თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №9 ბრძანებით[25] დამტკიცდა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების განახლებული რედაქცია, რომლითაც მკაფიოდ გაიმიჯნა ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებები და ფუნქციები, რის შედეგადაც მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობა საუბნო მიმართულებაში მოექცა. განახლებული სტრუქტურული ცვლილებების თანახმად, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ერთ-ერთ მოადგილეს კომპეტენციად განესაზღვრა მართლწესრიგის ოფიცრების ზედამხედველობა, ხოლო ქ. თბილისის თითოეული რაიონული მთავარი სამმართველოს დონეზე ასევე შეიქმნა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის პოზიცია, მართლწესრიგის ოფიცრების ხაზით. რეფორმა ითვალისწინებდა საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ეტაპობრივ დანერგვას.

მართლწესრიგის ოფიცერთა ფუნქცია-მოვალეობები და კომპეტენციები პირველად განისაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 მარტის №42 ბრძანებით[26], რომლითაც „ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №747 ბრძანებას დაემატა მე-15 მუხლი[27]. ამჟამად, მართლწესრიგის ოფიცერთა ფუნქცია-მოვალეობები და კომპეტენციები რეგულირდება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების, დეტექტივების, უბნის უფროსი ინსპექტორების, უბნის ინსპექტორების, უბნის უმცროსი ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრების, დეტექტივების (ანალიტიკოსების) და

---

[22] იხ. სქოლიო 21;

[23] „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 მაისის №275 ბრძანება;

[24] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №747 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 მარტის №42 ბრძანება;

[25] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის პირველი თებერვლის №9 ბრძანება;

[26] იხ. სქოლიო 24;

[27] „ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №747 ბრძანება;

ინსპექტორების (მორიგეების) საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის №102-ე ბრძანებით.[28]

არსებული სამართლებრივი რეგულირების საფუძველზე, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი სრულად არის წარმოდგენილი, როგორც პრევენციაზე ორიენტირებულ საპოლიციო მიმართულება. ამასთან, ოფიცრები არ არიან დატვირთულნი საგამოძიებო და ოპერატიული ფუნქციებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართლწესრიგის ოფიცრებს, პრევენციულ საქმიანობასთან ერთად განესაზღვრათ დანაშაულზე ან სამართალდარღვევაზე წასწრებისას დაუყოვნებლივი რეაგირების ვალდებულება, რამდენადაც მართლწესრიგის ოფიცრის საპოლიციო საქმიანობა არ იქნებოდა სრულყოფილი, დანაშაულსა თუ სამართალდარღვევაზე იმწუთიერი რეაგირების უფლებამოსილების/ვალდებულების გარეშე.

მართლწესრიგის ოფიცერს ერთ-ერთ მთავარ უფლებამოსილებად განისაზღვრა პრევენციული ხასიათის ფუნქცია არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის, ბავშვთა უმეთვალყურეობის, აგრეთვე დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი მიეკუთვნება ერთ-ერთ ძირითად საპოლიციო მიმართულებას, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე უფლებამოსილია როგორც თავად გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, ასევე განახორციელოს შემაკავებელი ორდერისა და სასამართლოს მიერ გამოცემული დამცავი ორდერით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგი.

მართლწესრიგის ოფიცრის უფლებამოსილებების ჩამონათვალმა, ერთობლივი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, მოიცვა სხვადასხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობის კომპონენტიც. აღნიშნული კომპეტენციის არსებობა ხაზს უსვამს სამინისტროს სურვილს კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი ეფექტიანი და კოორდინირებული პრევენციული პოლიტიკის შემუშავების პროცესს.

სოპ-ის სრულყოფილად და ეფექტიანად დანერგვის უზრუნველსაყოფად, სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 4 ნოემბრის №1/422[29] და №1/423[30] ბრძანებებით დამტკიცდა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგია და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა.

---

[28] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების, დეტექტივების, უბნის უფროსი ინსპექტორების, უბნის ინსპექტორების, უბნის უმცროსი ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრების, დეტექტივების (ანალიტიკოსების) და ინსპექტორების (მორიგეების) საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის №102 ბრძანება;

[29] იხ. სქოლიო 6;

[30] იხ. სქოლიო 7.

1.3 საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის განხორციელების პროგრესის მიმოხილვა

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020 – 2023 წლების სტრატეგიის საფუძველზე განისაზღვრა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც საჭიროებდა ეტაპობრივ განვითარებას. აღნიშნულმა მიმართულებებმა მოიცვა ისეთი საკითხები როგორებიცაა: მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის სტრუქტურული განვითარება, სოპ-ის ფარგლებში კადრების შერჩევის, მომზადებისა და განვითარების მექანიზმების დახვეწა, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ფუნქციური განვითარება და ეფექტიანობის ზრდა, უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება და საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება.

აქტიურად გაგრძელდა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის რაიონული პოლიციის მთავარი სამმართველოების ეტაპობრივი დაკომპლექტების პროცესი (ვაკე-საბურთალოს, ძველი თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის, ისანი-სამგორისა და გლდანი-ნაძალადევის). Covid-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად შეფერხდა ახალი თანამშრომლების მიღების პროცესი, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, 2022 წლის დასაწყისში ქ. თბილისის ტერიტორია სრულად დაიფარა მართლწესრიგის ოფიცრებით.[31] გაგრძელდა სოპ-ის რეფორმის განვითარება, რომლის ფარგლებშიც, არსებული მდგომარეობით, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი მოქმედებს სამინისტროს 3 ტერიტორიულ ორგანოში (ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოში), სადაც საერთო ჯამში დანიშნულია 400-მდე მართლწესრიგის ოფიცერი/უფროსი ოფიცერი. თითოეულმა მათგანმა თანამდებობაზე დანიშვნამდე სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიარა საბაზისო მომზადების სპეციალური კურსი. დამატებით, სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ბაზაზე, შემუშავდა სოპ-ის ტრენინგ მოდული „საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა მოქმედი მართლწესრიგის ოფიცრებისათვის“.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც 2020-2023 წლების საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების სტრატეგია ეხებოდა, იყო მართლწესრიგის ოფიცერთა პროფესიული დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. როგორც აღინიშნა, რეფორმის საწყის ეტაპზე, მკაფიოდ განისაზღვრა მართლწესრიგის ოფიცერთა ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული პროცესის პარალელურად, მიმდინარეობდა პოლიციის მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული თანამდებობის პირებისთვის სოპ-ის მნიშვნელობასა და ფუნქციებზე ინფორმაციის მიწოდება. Covid-19 პანდემიის მიუხედავად, გაგრძელდა კონსულტაციები/შეხვედრები პროფილურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მათგან მიღებულ იქნა სოპ-ის რეფორმის მიმდინარეობასა და სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული მოსაზრებები. სოპ-ის რეფორმის საწყის ეტაპზე, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით განხორციელდა პროექტის შეფასება და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

[31] https://www.facebook.com/Officer.ge

არასრულწლოვანთა დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციისა და გამოვლენილ ინციდენტებზე დროული რეაგირების მიზნით, კიდევ უფრო განვითარდა მართლწესრიგის ოფიცრებისა და სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს შორის ურთიერთობა. დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ერთობლივი ღონისძიება.

სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებსა და საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში მომუშავე ანალიტიკოსებს და მართლწესრიგის ოფიცრებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდა შესაბამისი პლატფორმის განვითარება.

მართლწესრიგის ოფიცერთა ფუნქცია-მოვალეობების უკეთ აღსრულების მიზნით, უწყვეტ რეჟიმში, მიმდინარეობდა მართლწესრიგის ოფიცრების სამინისტროს საინფორმაციო რესურსებთან წვდომის გაუმჯობესება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 26 თებერვლის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, მართლწესრიგის ოფიცრებს მიეცათ წვდომა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ადმინისტრირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაზე.[32]

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და მომზადების საკითხებს. მიმდინარეობდა კადრების მოზიდვის ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიები, იმართებოდა ღია კარის დღეები, გავრცელდა მართლწესრიგის ოფიცრის საიმიჯო ვიდეორგოლები, გამოცხადდა ვაკანსიები შესაბამისი საკომუნიკაციო არხების საშუალებით. პერიოდულად ხორციელდებოდა მოქმედი მართლწესრიგის ოფიცრების პროფესიული უნარების განვითარებისთვის საჭიროებების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, ასევე საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების/პრაქტიკის გაზიარება საერთაშორისო დონორებისა და ორგანიზაციების დახმარებით.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020 – 2023 წლების სტრატეგიის განხორციელების საწყის ეტაპზე დიდი ყურადღება დაეთმო საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო სისტემაში მომუშავე ხელმძღვანელი პირების ცნობიერების ამაღლებას მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვის დადებითი შედეგების შესახებ. კერძოდ, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მომზადდა ტრენინგ მოდული „საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა შსს ტერიტორიული ორგანების ქვედანაყოფთა მენეჯერებისათვის“, რომელსაც პერიოდულად გადიან მენეჯერული რგოლის წარმომადგენლები.

გარდა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში არსებული სოპ-ის კურსებისა, მართლწესრიგის ოფიცრებს მუდმივ რეჟიმში უტარდებოდათ მათ საჭიროებებზე

[32] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 26 თებერვლის №40/ნ/№18 ერთობლივი ბრძანება;

მორგებული სხვადასხვა სახის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო პარტნიორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, მართლწესრიგის ოფიცრების ჩართულობით, განხორციელდა არაერთი წარმატებული პრევენციული ღონისძიება, რამაც ხელი შეუწყო მართლწესრიგის ოფიცრების საზოგადოებასთან დაახლოებას და პოლიციისადმი ნდობის გაღრმავების პროცესს.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო დანაშაულის ეფექტიანი პრევენციის მიზნით ქმედითი უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფორმირების საკითხს. მაგალითისთვის, მართლწესრიგის ოფიცრები, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე საზოგადოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მოგვარების უზრუნველსაყოფად (დაზიანებული გზების, ჩაბნელებული ქუჩების, სახიფათო ადგილების, მიტოვებული შენობების იდენტიფიცირება და ამით გამოწვეული პრობლემების შესახებ მერიის შესაბამისი სამსახურების ინფორმირება), აქტიურად თანამშრომლობდნენ ქ. თბილისის მერიასთან.

რამდენადაც, საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის სოციალური ქსელები წარმოადგენს ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წყაროს[33], საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სტრატეგიის ფარგლებში კიდევ უფრო განვითარდა საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამატებითი არხები, რომლებზეც პერიოდულად თავსდებოდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, საინფორმაციო სააგენტოებში ვრცელდებოდა ინფორმაცია მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობის შესახებ. აქტიური სახე მიიღო ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, მართლწესრიგის ოფიცრებსა და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის საინფორმაციო შეხვედრებმა. განხორციელდა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიებიც, მაგალითად, კამპანიის "კარდაკარ" ფარგლებში, სოპ-ის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაზრდის მიზნით, მართლწესრიგის ოფიცრებმა არაერთი გაცნობითი შეხვედრა გამართეს. გარდა აღნიშნულისა, მართლწესრიგის ოფიცრები და სამინისტროს წარმომადგენლები პერიოდულად იღებდნენ მონაწილეობას ტელე და რადიო გადაცემებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში ინტენსიურად ხვდებოდნენ ახალგაზრდებს, წარუდგენდნენ პრეზენტაციებს, ერთობლივად მონაწილეობდნენ სპორტულ, სოციალურ და კულტურულ აქტივობებში და განიხილავდნენ ახალგაზრდებისთვის საინტერესო და პრობლემურ საკითხებს.

[33] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში.

2. სოპ-ის შემდგომი განვითარება

2. 1 სტრატეგიის პრინციპები

წინამდებარე სტრატეგიის შემუშავებისა და მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ **პრინციპებს:**

- ¶ ადამიანის უფლებების დაცვა;
- ¶ გამჭვირვალობა და ღიაობა;
- ¶ სამართლიანობა და კანონიერება;
- ¶ პროფესიონალიზმი;
- ¶ პარტნიორობა;
- ¶ საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- ¶ „პოლიციის შესახებ საქართველოს კანონითა“[34] და "საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით“[35] გათვალისწინებული (პოლიციელის საქმიანობის) სხვა პრინციპები.

2. 2 სტრატეგიის მიზანი

სტრატეგიის მიზანია სოპ-ის შემდგომი განვითარება, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, დანაშაულის პრევენციული კომპონენტის გაძლიერებას, პოლიციისადმი მიმართვიანობის გაზრდას, დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის გაუმჯობესებას, დანაშაულის შემცირებასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად სტრატეგიით დაგეგმილია შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- ¶ მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის სტრუქტურული/ფუნქციური განვითარება და ეფექტიანობის ზრდა;
- ¶ სოპ-ის ფარგლებში კადრების შერჩევის, მომზადებისა და განვითარების ეფექტიანი უზრუნველყოფა;
- ¶ უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება;
- ¶ საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება.

---

[34] იხ. სქოლიო 21;

[35] „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანება;

2. 3 სტრატეგიის ამოცანები

მიუხედავად დადებითი შედეგებისა, საზოგადოების მიერ სამართალდამცველებთან ურთიერთთანამშრომლობისა და ნდობის მაჩვენებელი, ისევე როგორც დაცულობის განცდის ხარისხი, კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას, რაც, არა მხოლოდ, მართლწესრიგის ოფიცრებისგან, არამედ, სრულიად სამართალდამცავი სისტემისგან მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის სტრუქტურული/ფუნქციური განვითარება და ეფექტიანობის ზრდა

წინამდებარე სტრატეგიის ფარგლებში, საერთაშორისო დონეზე დაგროვილი გამოცდილების და ადგილობრივად არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, გაგრძელდება სოპ-ის რეფორმის შემდგომი განვითარება და განისაზღვრება დიდ ქალაქებში მისი დანერგვის პროცესი, რა დროსაც მხედველობაში მიიღება ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა: მოსახლეობის რაოდენობა, დასახლებათა განშლადობა, კონკრეტულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი ეთნიკური უმცირესობების საკითხები, დანაშაულის სტატისტიკა და დინამიკა.

კიდევ უფრო დაიხვეწება მართლწესრიგის ოფიცერთა დაწინაურება/წახალისებასთან დაკავშირებული კონკრეტული სტანდარტები. ამ მიზნით, სამომავლოდ გაგრძელდება და კიდევ უფრო განვითარდება მათი საქმიანობის აღრიცხვიანობის გარკვეული სტრუქტურირებული მექანიზმები (მათ შორის პროგრამული), რაც ხელმძღვანელებს დაეხმარება დაქვემდებარებულ პირთა სრულფასოვანი ზედამხედველობის განსახორციელებლად და დაწინაურება-წახალისების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. აღნიშნულ პროცესში ხელმძღვანელთა მიერ თანამშრომელთა პრევენციული საქმიანობის შეფასებისას, რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად, მხედველობაში მიიღება ხარისხობრივი შეფასების მაჩვენებლებიც.

გაგრძელდება მუშაობა მართლწესრიგის ოფიცრის ხაზით მენეჯერული მოდელის განვითარებაზე და ამ კუთხით ჩატარდება საჭიროებების კვლევა (გაანალიზდება სამმართველოების დონეზე, მართლწესრიგის ხაზით სამმართველოს/განყოფილების უფროსის მოადგილის, ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციის შექმნის საჭიროება). პარალელურად გაგრძელდება შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შესწავლა და დახვეწა.

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის შემდგომი განვითარების პროცესში მოხდება მართლწესრიგის ოფიცრის პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება, ასევე მართლწესრიგის ოფიცრების მიმდინარე სამუშაო პრაქტიკის შესწავლა/შეფასება ფუნქცია-მოვალეობებისა და კომპეტენციების გადახედვის საჭიროების დადგენის მიზნით.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის, როგორც სოპ-ის მოდელის, ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების პრევენციაა, საზოგადოების მაღალი მხარდაჭერის მოპოვების გზით. სამინისტროს სისტემაში მართლწესრიგის ოფიცრის ფართო პრევენციული ხასიათის ფუნქციებით აღჭურვა მოითხოვს მათთვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სათანადო დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების უზრუნველყოფასაც. ეფექტიანი პრევენციული საქმიანობისთვის მართლწესრიგის ოფიცერს სჭირდება მუდმივად განახლებადი პრევენციული მიდგომის დაგეგმვა და

ოპერაციული დონის სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება. აღნიშნული საქმიანობა შესაბამისობაში იქნება საერთო პრევენციული პოლიტიკის მიდგომებთან და პრიორიტეტებთან. მათ შორის, გაგრძელდება მოსახლეობის ადგილობრივ პრობლემატიკაზე (სამეზობლო დავები, დაზიანებული ინფრასტრუქტურა და ა. შ.) ადაპტირებული მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვის პროცესი. საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრევენციულ საქმიანობაში საზოგადოების/თემის ჩართულობის გაზრდის მიზნით დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები.

პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობასა და კომუნიკაციას. მუდმივ რეჟიმში განხორციელდება აღნიშნული ჯგუფების იდენტიფიცირება და შესაბამისი საქმიანობის/აქტივობების დაგეგმვა სწორი მიდგომების ჩამოყალიბების კუთხით.

გაგრძელდება და განვითარდება დანაშაულის ანალიზის კუთხით მომუშავე ანალიტიკოსებთან თანამშრომლობა და კოორდინაცია. დანაშაულის ტენდენციების, სტატისტიკისა და ცხელი წერტილების გათვალისწინებით, შესაძლებელია პრევენციული ღონისძიებების ოპერატიულ დონეზე ეფექტიანად დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, განისაზღვრება ანალიტიკოსებისა და მართლწესრიგის ოფიცრების მჭიდრო კოორდინაციის ფორმატი. გარდა ამისა, შემუშავდება ანალიტიკური პროდუქტების საჭიროებებზე ორიენტირებული გავრცელებისა და წარმოების შესახებ შესაბამისი ინსტრუქცია.

არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენცია მნიშვნელოვანი მიმართულებაა მართლწესრიგის ოფიცრებისთვის. აღნიშნულ საკითხთან ქმედითად გამკლავების მიზნით, უწყებათაშორისი მექანიზმების ჩამოყალიბების პროცესში, გაგრძელდება როგორც უკვე არსებული, ისე ახალი საკოორდინაციო უწყებათაშორისი ფორმატების განვითარება.

პრევენციული მიდგომის განხორციელების მიზნით, კიდევ უფრო განვითარდება პროაქტიული მუშაობა მართლწესრიგის ოფიცრის სამოქმედო ტერიტორიებზე არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან, სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ამასთან, გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა.

განხორციელდება მართლწესრიგის ოფიცრების მიერ არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილ სამართალდარღვევებზე რეაგირებისა და ამ კუთხით განხორციელებული პრევენციული ღონისძიების ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები.

მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირება, გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების მონიტორინგი და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების სწორი და ეფექტიანი დაგეგმვა.

გაგრძელდება ეფექტიანი პრევენციული საქმიანობის დაგეგმვა/განხორციელება, დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ჩადენილ დანაშაულებზე. მართლწესრიგის ოფიცრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება ეთნიკურ უმცირესობებთან აქტიური მუშაობა. მათი საქმიანობის სწორად დაგეგმვის კონტროლისა და შეფასების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება რეკომენდაციები.

მართლწესრიგის ოფიცრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად რჩება ნარკოტიკული დანაშაულის/სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის ფლობა, პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება და მისი მოხმარების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება. შესაბამისად, მართლწესრიგის ოფიცრები აქტიურად გააგრძელებენ მუშაობას ამ მიმართულებით.

მართლწესრიგის ოფიცრის ყოველდღიური საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის პერმანენტულად დაიდენტიფიცირდება არსებული საჭიროებები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების აუცილებლობა.

სოპ-ის ფარგლებში კადრების შერჩევის, მომზადებისა და განვითარების ეფექტიანი უზრუნველყოფა

რეფორმის ფარგლებში, კვლავ პრიორიტეტი მიენიჭება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, გაგრძელდება ეფექტიანი საკადრო პოლიტიკის ფორმირების პროცესი. შემუშავდება და, საჭიროებიდან გამომდინარე, პერიოდულად განხორციელდება კადრების მოზიდვის საინფორმაციო აქტივობები, როგორც სატელევიზიო ეთერების, ასევე სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური არხების მეშვეობით. ამასთანავე, სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის 2024-2027 წლების სტრატეგიის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განახლებული მემორანდუმების ფარგლებში, იგეგმება საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან.

გარდა ამისა, მართლწესრიგის ოფიცრების მომზადება/გადამზადების პროცესის ოპტიმიზაცია და არსებულ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა ის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც განაპირობებს ამ ინსტიტუტის ეფექტიანობას. აღნიშნულ პროცესში კვლავ დიდი მნიშვნელობა მიენიჭება სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის როლს. გაგრძელდება მართლწესრიგის ოფიცრების გადამზადების პროცესის სრულყოფა და მოქმედი მართლწესრიგის ოფიცრების პროფესიული უნარების განვითარებისთვის საჭიროებების ანალიზი. იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე, გაგრძელდება მართლწესრიგის ოფიცრებისთვის შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება, რომლებიც მიმართული იქნება საზოგადოებასთან, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობის ტექნიკის განვითარებაზე, ასევე კონფლიქტის მოგვარებაზე, მედიატორული თუ სხვა სახის პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე.

სოპ-ის კონცეფციის წარმატებით განხორციელებისთვის გადამზადდებიან არა მხოლოდ მართლწესრიგის ოფიცრები, არამედ სამინისტროს საგამოძიებო და ოპერატიული,

მიმართულებით მომუშავე პოლიციელებიც, ასევე, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებიც. პერიოდულად განხორციელდება ერთობლივი ტრენინგ-პროგრამები. ასეთი ფორმატის არსებობა გააუმჯობესებს პოლიციელებში ერთმანეთის კომპეტენციების შესახებ ინფორმირებულობის დონეს და ხელს შეუწყობს ნაყოფიერ თანამშრომლობას.

დანაშაულის პრევენციის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით კვლავ დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ხელმძღვანელთა გადამზადებას, რამდენადაც მმართველი რგოლის მიერ სოპ-ის შინაარსის ზედმიწევნით გააზრება პირდაპირ კავშირშია დაქვემდებარებულთა საქმიანობის შედეგიანობასთან.

უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება

სოპ-ის ეფექტური დანერგვა შეუძლებელია უწყებათაშორისი თანამშრომლობის განვითარების გარეშე. შესაბამისად, გაგრძელდება რელევანტურ სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაცია და შემუშავდება მათთან თანამშრომლობის ახალი ფორმატები, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო მოდელში მართლწესრიგის ოფიცრების რეფერირების კომპონენტის გაძლიერებას, ხოლო აღნიშნული, თავის მხრივ, აისახება მოსახლეობისთვის სათანადო მხარდაჭერის აღმოჩენასა და დანაშაულის ეფექტიან პრევენციაზე.

სკოლებში მომხდარ ინციდენტებზე მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ინფორმირების, შესაბამისი რეაგირებისა და პრევენციული მოქმედებების წარმატებით განხორციელების მიზნით, გაგრძელდება და გაუმჯობესდება თანამშრომლობა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

გარდა ამისა, საჭიროებიდან გამომდინარე, განვითარდება არასამთავრობო და კერძო სექტორთან თანამშრომლობის ფორმატები.

საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება

სოპ-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ცნობადობის გაზრდის მიზნით, განხორციელდება არსებული საკომუნიკაციო არხების მაქსიმალური გამოყენება და გაიმართება სხვადასხვა საინფორმაციო კამპანია. საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობის შესახებ.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის მიმართ ნდობის გაძლიერების მიზნით, გაგრძელდება პირდაპირი/უშუალო კომუნიკაცია სხვადასხვა სამიზნე (მათ შორის, მოწყვლად) ჯგუფებთან, ცალკეული ჯგუფების სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მართლწესრიგის ოფიცრებს მუდმივი კომუნიკაცია ექნებათ თავიანთი სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობასთან სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, მათ შორის, კიდევ უფრო განვითარდება კომუნიკაცია საზოგადოებასთან სოციალური ქსელების მეშვეობით, რომელზეც პერიოდულად განთავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

3. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიაში ხაზგასმულ გამოწვევებთან ეფექტიანად გამკლავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. სოპ-ის რეფორმის შემდგომი განვითარება დადებით გავლენას მოახდენს მოქალაქეთა დაცულობის შეგრძნებისა და პოლიციისადმი ნდობის ზრდის, პოლიციისადმი მიმართვიანობის გაზრდის, დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის გაუმჯობესების, დანაშაულის შემცირების, პრევენციული საქმიანობის განვითარების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის თვალსაზრისით.

სოპ-ის განვითარების მიზნით, მინისტრის 2020 წლის 2 მარტის №1/89 ბრძანებით[36] შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია შიდაუწყებრივი კომუნიკაციის გაძლიერებასა და სამინისტროს სისტემაში სოპ-ის კუთხით პოლიტიკის დაგეგმვასა და განვითარებაზე, ასევე შესაბამისი მონიტორინგის ანგარიშ(ებ)ის შემუშავებაზე. ამასთან, სამუშაო ჯგუფს ევალება სოპ-ის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა/განხორციელება, ისევე როგორც სოპ-ის საკითხებზე საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციებისთვის შესაბამისი საჭიროებების გაცნობა. სამუშაო ჯგუფის სამდივნოს ფუნქცია განესაზღვრა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს.

[36] იხ. სქოლიო 8.